1877–1894

№ 35

სამშაბათი, 15 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 35

სამშაბათი, 15 თებერვალი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

**და განცხადებათა დასაბეჭდად**

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**კონსტანტინე იაკობის ძე ზუბოვი** შეილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, დილის 10-ს საათზედ, რომის კათოლიკეთა ყოვლად წ. ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში, რომელიც შუა-ბაზარში იმყოფება, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **ელისაბედ მიხეილის ასული ზუბალოვის** სულის მოსახსენებლად. (1—1)

**„ივერია“**

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილის

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა,

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редак. „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 16 თებერვალს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ქ-ნთ საფაროვ-აბაშიძის, ავალიშვილის და ბ-ნთ მესხიევის, ყიფიანის და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**I**

**მეორედ გაყმაწვილება**

დრ. 4 მოქ., გად. დ. ერისთავის მიერ

**II**

**მონადირე**

ვოდ. 1 მოქ. გუნიასი

დასაწყისი 7½ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა: **„დენიზა“** დრ. 4 მოქ. დიუმასი.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

**გორის მაზრის თავად-აზნაური კრება** დანიშნულია ოცდა-შვი ამა თებერვალს, კვირა დღეს, 11 საათზედ, დილით, ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში.

ბოროს კეთილშობილთ წინამძღოლი თავ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი აუწყებს ამას თავად-აზნაურთა ბორჩალოს ხრისას, რომელთაც აქვთ უფლება ამ კრების არჩევანებში მონაწილობა მიიღონ, მობძანდნენ ზემოაღნიშნულს დროს და, ვიდრე კრება დაყებოდეს, წარმოუდგინონ მას საბუთ თავიანთ უფლებათა, თანახმად კანონის მე-104 მუხლისა, რომელიცმოთავსებულია 1876 წელს გამოცულ კანონთა კრებულის მეცხრე ტომში. (3—3)

# ახალი ამბავი

*** კვირას, 13 თებერვალს, ქართულმა დასმა წარმოადგინა ცნობილი დრამა დ. ერისთავისა „სამშობლო“. ეს პიესა არა ერთხელ უთამაშნიათ ჩვენს სცენაზედ და ყოველთვის საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია. გუშინაც დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი გამოვიდა თეატრის დარბაზიდამ. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ უმთავრესი გმირების როლები, მართალია, კარგად შეასრულეს არტისტებმა, მაგრამ საერთოდ-კი ჰკოჭლობდა. სტატისტები მეტისმეტად შეუხამებლად ჰმოძრაობდნენ და სასიამოვნო სანახავი არ იყო იმათი უალაგო ბოტიალი სცენაზედ. საზოგადოებამ დიდის ტაშის კვრით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა უმთავრესის როლების ამსრულებელნი. ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** აგერ უკვე ოთხი თუ ხუთი დღეა, რუსეთიდგან ჩვენს ქალაქში რუსეთის ფოსტა არ მოსულა. სადგურ მლეთს ზემოდგან გზები ძალიან გაუფუჭებია ამ უკანასკნელ ავდრებისა გამო ჩამოწოლილს ზვავებს და ვიდრე შეკრულია გზები, ვეღარც მგზავრები დადიან და ვერც ფოსტა ჩამოაქვთ რუსეთიდგან კავკასიაში.

*** ქუთაისი: ქუთაისსა და ტყიბულს შუა მატარებლები აღარ დადიან, რადგანაც არშინ ნახევარზედ თოვლი დევს და დიდძალი მუშა მუშაობს რკინის გზის ლიანდაგის გასაწმენდად.

*** ყარაიაზი: 13 თებერვალს სოფელ კეშელოს შეიპყრეს ის ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც 6 თებერვალს გაძარცვეს ორი რკინის გზის სადგურთა სადარაჯონი ყარაიაზსა და ალტაგლიას შუა. ოთხივენი თათრები არიან: ამირხან-ალავერდი-ოღლი, ისმაილ-ქაში-ვალი-ოღლი, შოლ-მამედ-მეიტი-ოღლი.

*** ბორჯომი. ეს ერთი კვირა სრულდება რაც აქ განუწყვეტლივ თოვს. თითქმის ერთ არშინზედ მეტი თოვლი დასდო. ახალციხის გზა შეიკრა დიდის თოვლის გამო და ფურგუნები საცოდავათ გზებში ჩაფლულები ყრიან. პატრონები ბორჯომში დაბინავდნენ თავიანთი ცხენებით, უყურებენ ამინდს, მაგრამ უარესსა შვრება ამინდი.

*** იქიდამვე. ფოსტა, რომელიც მუდამ დღე მოდიოდა ბორჯომში 1 საათზედ აბასთუმნიდგან 11-ს თებერვალს მივიღეთ საღამოს 7 საათზედ.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): წრევანდელმა 1894 წელიწადმა შემოდგა ფეხი თუ არა, მაშინვე თან მოგვიტანა უცნაური სხვა-და-სხვა მოარული სენი. ამას ზედ დაერთო წყეული „ინფლუენცია“, რომელმაც ასე მაგრად მოიდგა ფეხი, რომ ძნელია იმის თავიდან მოშორება. ამას ხელს უწყობს თეთრწვერა და ცივი ზამთარი. შეკრეს ორივემ პირობა და დაგვესივნენ. მრავალი გამოასალმეს წუთისოფელსა და დღესაც ვინ მოსთვლის, რამდენია ლოგინად. თებერვალს მაინც მთლად აერია დავთარი. სთოვს დღე და ღამე, ეს ერთი კვირაა, 13 თებერვალს ერთ ადლამდე დასდო. გვეშინიან ვაი თუ სახლების სახურავები ჩაამტვრიოსო. ასეთს ბუნების ცვალებლობს კარგა ხანია, რაც არ მოვსწრებივართ.

სიმინდის ფასის დაწევამ ძალიან შეგვაწუხა. თუმცა-ღა ჯერ-ჯერობით არ გაგვიყიდია, მაგრამ როდემდის.

*** მცხეთა: 6 ამ თვისას წმ. ნინოს მონასტერში, სადაც დაარსებულია ქალთა სკოლა მონასტრის პატივცემულ წინამძღვარის ნინოსაგან, მოწაფენი ამ სკოლისა გალობდნენ წირვაზე ქართულად. თითქმის მთელი წირვა გამოიყვანეს გალობითა, თუმცა-კი ეს მათი ცდა პირველი ყოფილიყო; მაგრამ მაინც მადლობის და თანაგრძნობის ღირსნი არიან, როგორც მღ. კახაბერი, რომელიც თურმე ასწავლის ქართულს გალობას ზემოხსენებულს სკოლაში, აგრეთვე თვით მოწაფენიც. მათ ეტყობოდათ ის სასიქადულო სურვილი მეცადინეობისა, რომლითაც ცნობილი არიან საზოგადოდ ქართველი ქალები, თუკი ოდესმე იკისრებენ ხოლმე რაიმე საქმესა. გალობა საზოგადოდ რიგიანი და ტკბილი იყო, თუ წუნად არ ჩაეთვლებათ, როგორც ახლად გამოსულთ და უჩვევთ, ზოგიერთა ადგილებში კოჭლობა. გალობენ უხელმძღვანელოდ, რადგანაც მღ. კახაბერს, მღვდელთ მსახურების დროს, მხოლოდ ათასში ერხელ შეუძლიან ანიშნოს კილო და ხმა დაწყობისა; ეს-კი ძალიან ძნელია დაუხელოვნებულ მგალობელთათვის. ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ ერთ-ერთი მგალობელი უკეთესად გაავარჯიშოს გალობაში და ხელმძღვანელობა მგალობელთა მას ჩააბაროს.

*** ონი (რაჭის მაზრა) თქვენს მტერს ამ უკანასკნელს თვეებში ჩვენ დღე გვადგეს; ჯერ საშინელი დიდი ზამთარი, მერე ამას მოჰყვა, როგორც ეძახიან იფლუენცა, მართლადაც, რომ იფლუენცაა, ვისაც ხელი ჩაჰკიდა თან წაიყოლა. არ გავა ისეთ დღე, რომ არ გავიგონოთ ესა და ეს მოჰკლაო. უმეტეს ნაწილს მუსრს ავლებს საწყალს გლეხობის ოჯახს, რომლების სახლშიაც ჯერ კარგად მყოფიც და-

# ფელეტონი

## ალექსანდრე მაკედონელი ყოფილა ჩვენში თუ არა?

(დასასრული *)

ადგილობრივი თქმულება ნათლად ამტკიცებს კვინტკურციის მოთხრობასა და მტკიცე ნაშთნი ადგილობრივ სოფლების წოდებათა ცხოვლად ეთანხმებიან: დამარცხებულა ალექსანდრე ხერთვისის ხეობაში, გამოღმა და ხიზაბავრის ვენახების ზემოდ, მტკვრის პირს მდებარე ჭალას დღესაც ჰქვიან კუროსთავი სახსოვრად მის ბუკეფალისა. კუროსთავიდამ თითქმის ვერსის სიშორეზედ არც-კი არის ნიჯგორის მიწაში მტკვრის პირასვე მომცრო ქვითკირის ნაქცევი კოშკი, სახელად ორმოელ, რომლის კედლებზედ 40 ასის თავებისა და მხედართ თავები დაუსვიათ სარებზედ ბერძნის საჩვენებლად, რომ მძორები ესყიდათ და დაესაფლავებინათ!

ამ არეს, მტკვრის გაღმით, არის სოფელი ამგვიტა; აქ უწყვეტიათ მაკედონის მხედრობა. ამ სოფლის ძველი ნაარი ისევე არის მთის ძირში, დიდვრას ლოდებით ნაშენი ჰქონია კედლი; მისი ვეებერთელა დარნები მცრამდის ჩამოდის ორ სამ ვერსის სიშორეზედ. ახლანდელი ამგვიტა მის ქვემოდ არის გაშენებული, სადაც დამარცხებულნი დაუჰერია და უცარცვიათ. იქავ ამგვიტ ახლოს მდებარე სოფელს ეწოდება ქუნცა (ქუცვა) და ამგვიტის ზნად ითვლება. ამგვიტის სამხრეთ არის ს. როკეთი, სადაც უწყვეტ გაკაფა ტყისა გზების გასაყვანად იმ ლაღალუდა ტყენარ-პიწკნარში ამ სახელწოდებათ ერთიან დაშენა ცხადად ამტკიცებს საქმის სიმართლესა, როცა ბოლოს ასკვნის კვინტკურციუსი ამ რიგად: „აილო მძევალი მათგან და უბრძანა ფრადატეს დამორჩილებოდნენ, ტიპარელთ მთავარსა!“

ჩვენი ქართლის ცხოვრებაც ასე სწერს: „ამან ალექსანდრემ დაიპყრა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი. გამოვიდა დასავლეთით და შევიდა სამხრით. შემოვიდა ჩრდილოს, გამოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად... და ჰპოვნა ციხე-ქალაქნი ძლიერნი ქართლს, წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსა, თუხარსი მდინარესა ზედა სპერესასა, ურბნისი, კასპი, უფლის-ციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ცხედიდი და ხანავი უბანი ურიათა, რუსთავი, ღედა-ციხე, სამშვილდე, მტკვრის ციხე და კახეთის ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხეთა და ქალაქთა შინა ჰპოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი განყო ლაშქარი მისი, ყოველთა ამათ ქალაქთა გარმოადგინნა... და თვით დადგა ქსანსა ზედა, ადგილსა რომელსა ჰქვიან ნასტაკისი, მტკვრის ციხესა და თუხარისსა არა ჰბრძოდა. ხოლო ესე სხვანი ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექვს თვესაო“ (ქართლის ცხოვ. 27 გვერდი).

კავკასია მცხოვრებთა ტომებით უკეთეს მხარეს შეადგენდა დარიის სამფლობელოსას; ერთიან თუ არა იყვნენ მის მორჩილებაში, მისი მოკავშირე მაინც უნდა ყოფილიყვნენ; ტომნი თავიდგანვე დიდად დახელოვნებულნი იყვნენ ომ-ბრძოლაში, ფასით მიჰყავდათ ბევრჯერ ასარებს, პარსებს და ბერძნებს ჩხუბებში მათგან ჯარები. გარდა ამისა მუდამ ფეხ-ქვეშ ჰქონდათ მცირე ასია, პარსეთი და ახრეთი, იკლებდნენ მრავალ ტომებს და ივსებოდნენ დავლანაშოვრებითა. და რა ჰკუა გასაჭრელია ალექსანდრესთანა თავ-მოყვარე კაცს კავკასიის ტომებისთანა მეომარი ტომნი დატოვებინოს უომრად და დაუმონებლად და თურქისტანში, პარსეთსა და ინდოეთში კავკასიის ტომებზედ უფრო უძლურნი და ომ-ბრძოლაში მხდალი ტომები დაეპყრას თავის დიდ სასახელოდ?

ალექსანდრეს მფლობელობის მიზეზით იყო, რომ მის მომაგიერეთ იქამდის ზედ მიწევნით შესწავლილი ჰქონდათ კავკასია, რომ სელევკიონიკატრმან ინება კასპის ზღვის შეერთება რუ სხმულით შავ ზღვასთანა, მაგრამ აღარ დასცალდა, მოიკლა 279 წელს ქ. წ., როგორც სწერს პლინი (VI. 2.) ესეც რომ არ იყოს, ჩვენს საქართველოში რომელ ტომების ხელმწიფეებსაც კავშირი ჰქონიათ ჩვენთან, ხშირად ჩნდება მიწაში მათი ფულები, ოქრო, ვერცხლისა თუ სპილენძის გროშები, როგორც ეგვიპტელებისა, ბერძნებისა, ახრებისა, არშაკიდებისა, სასანიდებისა, რომაელებისა და სხვათა, უფრო ხშირი არის რომაელებისა და ალექსანდრე მაკედონელისა, ზოგი წვრილი და ზოგი დიდრონი; ამისგარდა ჩნდება ცხენის აღვირის სამკაულები თითბრისა, აღვირს თავებზედ ოქროთი დაფერილი ყმაწვილობის სახე ა. მაკედონელის იმ დროისა, როცა მეკეფალი დაიზავთა პირ-

*) იხ. „ივერია“, № 34.

რულა სიცივით, თორემ ავადმყოფს რალა გადაარჩენს; სარჩო-სანოვაგის სიძვირეა ისე, რომ ვერ ნახავთ ათს ოჯახში ორს ჰქონდეს სამყოფი სარჩო. წარსულს ზაფხულს მაზრის უფროსმა, მომრიგებელ შუამავალმა და პოლიციის ბოქაულმა შემოიარეს მთელი სამაზრო გლეხთა საზოგადოება, სადაც უცხადებდენ ხალხს გუბერნიის უფროსის მიერ გამოცემულს წინადადებას, რომ ორი დაახლოვებული საზოგადოება ერთად შეერთებულიყოს. ხალხმა მოისმინა წინადადება და გამოუცხადა სრული თანხმობა შეერთების შესახებ, განჩინებაც დაადგინეს მხოლოდ დარჩა ორი საზოგადოება სახელდობრ ხვანჭკარისა და ბუგეულისა. ეს ორი საზოგადოება ისე დაახლოვებულია შუა ადგილიდამ ერთმანეთზე, რომ სიშორით ოცი საჟენი არ გამოვა; შუაზედ ჩამოუდის მდინარე რიონი, რომელზედაც, არის ამოყვანილი ქვიტკირის ბურჯები, და ხიდის გაგებასაც მალე მოველით, რადგანაც მთავრობა უკვე შეგვპირდა, აქვე იმართება ხოლმე იარმუკობა. ვერ ნახავთ ამ ორის საზოგადოების უბრალო გლეხსაც, რომ არ შემოგჩივლოთ: ჩვენ მარტო რა დაგვემართა, ბატონო, ყველა დაახლოვებული საზოგადოება შეუერთებიათ, და ჩვენთვის კი ერთი სიტყვაც არ უბრძანებიათ ამ დალოცვილებს შეერთებაზედ, მაშინ როდესაც დიდი ხანია ამ ორს საზოგადოებას აქვს სურვილი შეერთებისა.

*** სოფ. ბებნისი (გორის მაზრა): ჩვენ, ს. ბებნისის მცხოვრებნი, ამ ჟამად დიდს შეწუხებაში ვართ სიცივისაგან. იანვარი ისე გავიდა, რომ სამი დღე ზედი-ზედ ცუდი დარი არა ყოფილა; მაგრამ თებერვალში სუფ-სარქისის ცუდმა ამინდებმა კი ძალიან შეგვაწუხა: ხან ზენა ქარი ამოუბერავს და მოაქვს კორიანტელი, ხან ქვენა ქარი ამოვარდება და გვიჭირვებს საქმესა. ჩვენი ხალხი მისთანა სიცივეს არ შეუშინდება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მთელი სოფელი რომ დაიაროთ, ვერც ერთი მეკვამურის კარზედ ვერა ნახავთ ერთ წკირ შეშას, რადგანაც ქარელში მცხოვრებთ თ. თ. ც—შვილების კანტორამ ნება აღარ მოგვცა ტყეში სიარულისა იმ ფასად, რასაც წინად ვაძლევდით. რადგანაც თითო ურემ შეშა-ფიჩხზედ სალბაში მოგვიმატეს და რადგანაც ჩვენი ხალხი ცხოვრებით ნაკლებადა ვართ, სალბაშის გარდახდა ვერ შევიძელით და დავრჩით უშეშოთ. სიცივისაგან შეწუხებული გლეხები მივდივართ და რიგი ვენახის ლობესა ვწვავთ, რიგი ხილებსა ვჩეხავთ, რიგი ჯიხურებს ვანგრევთ, რიგი ბაკებსა ვწვავთ, რიგი კიდევ გაოხრებულ სახლის ჰერებს ვიპარავთ და ამ სახით გამოვდიოდით აქამდის, როგორც იყო. ახლა ესენიც გამოგველია და ამის შემდეგ რაღა უნდა ვქნათ?!.. ასე ამ გვარად ჩვენ, ს. ბებნისის მცხოვრებთ, ცუდი შედეგი მოგველის და შემდეგისთვისაც დიდი ზარალი მოგვდის. გარდა ამისა ჩვენ, ს. ბებნისის მცხოვრებთ, სხვაფრივაც მოგვეცარა ხელი. მდ. მტკვარზედ ჰქონდათ გაბმული პარომი სოფ. რუისში მცხოვრებ გლეხთ ნ. და ზ. გამსახურდაშვილებს ნებართვით ჩვენის და მარჯვენა ნაპირის პატრონთა. უკანასკნელებმა პატრონს პარომი დააუქმებინეს, თუმცა-კი არც ჩვენის და არც მათის მხრით ვადა არ გასულიათ პარომის პატრონთ. ხალხი გასვლა-გამოსვლას ვერ ვახერხებთ: ზოგს ავადმყოფი შეუწუხდება და მის საზიარებლად ღვდლის გამოსაყვანად ქარელში გადის; ზოგი ცივს წყალში თავის ფეხით გადის, ცივდება და ავადა ხდება; ზოგიც ნავ-ტიკით გადიან და ამითი არ იმჩნევენ აქაურები პარომის უქონლობას, მაგრამ არც ამ ნაირად გვაძლევენ სიარულის ნებას მეორე ნაპირის პატრონები. ვართ ამ ნაირ ვაი-ვაგლახში და გაჭირვებაში...

სხვაფრივ აქეთ სალიანობაა ხალხისა.

*** ჩვენ მივიღეთ ოზურგეთიდგან 18 მან. დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

ეს ფული შემოუტანიათ: მოსე ურუშაძეს 2 მან., პლატონ ბერიძეს 1 მ., თავად ვახტანგ დავითის ძეს გურიელს 1 მ., სპირიდონ კვირკელიას 1 მან., მღვდელს დავით დუმბაძეს 1 მ., მ. თუმანიშვილს 1 მ., გ. დონაძეს 1 მ., ვანო გომელაურს 1 მ., ვ. ხუნდაძეს 2 მან., დ. სურგულაძეს 1 მ., № № 1 მან., და ლ. ხუნდაძეს 5 მან. შეკრებილი ამ უკანასკნელისაგან აქაურ ვაჭართა შორის.

*** 13 თებერვალს ტფილისის მცხოვრებელმა ბაგრატ ზოზიევმა პოლიციაში გამოაცხადა, ვორონცოვის ქუჩაზედ, მერაშოვის სახლში, 160 ქათამი მომპარესო. დამნაშავე აღმოჩნდა ალასპერ-ოღლი, რომელიც უკვე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს ძველს დამოჟნის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში. უეცრად გარდაიცვალა 22 წლის სოფ. ბერებეკის მცხოვრებელი ივანე მირიანაშვილი.

## ნაწყვეტი

გაწითლდა აღმოსავლეთი,
მახარობელი დილისა,
ავდექ, ვახსენე უფალი,
დრო აღარ იყო ძილისა:
წინ მედვა ტრიალ მინდორზე
სამკალი ოქროდ-ქმნილისა;
ჩემს გვერდით მკიდა ქალამზეც,
მნათობი გულის ჩრდილისა.

## კორესპონდენცია

**სოფ. მოხისი,** (გორის მაზრა). თუმცა ამ სოფელში ას-ოც-და-ათზე მეტი მცხოვრებია, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, აქამდინ არა ვითარი სასწავლებელი არა ჰქონიათ; ამის გამო მთელ სოფელში ორს გლეხკაცს ვერ ჰნახავთ, რომ თავის დედა ენაზე ხელის მოწერა იცოდეს. 1891 წ. 21 ნოემბერს, სასულიერო მთავრობის ნებართვით, მასწავლებელმა ალექსანდრე დავითაშვილმა გაჰმართა, აქ კერძო საეკკლესიო სამრევლო სკოლა; დაიქირავა, თავის ხარჯით, შენობა სკოლისთვის და მოაწყო როგორც მოახერხა. ამ სასწავლებელს ეპარქიალური სამოსწავლო საბჭო, ყველა სასწავლებელ წიგნებს და ნივთებს უფასოდ უთმობდა. გამართვისა თანავე სკოლას ბლომად გულის შემატკივარნიც გამოუჩნდნენ, მაგალითად: აქაურნი აზნაურნი, გვარად კვალიაშვილები, ნივთიერად დეეხმარნენ და შვილებიც ამ სასწავლებელში პირველად თითონ მისცეს. კვლიაშვილებს გლეხებმაც მიჰმართეს და დაიწყეს სკოლაში თავიანთ შვილების მიბარებაც; ამ გვარად სკოლის საქმე თანდა-თან კარგ საფუძელზე დგებოდა, რადგანაც სწავლის მსურველთა რიცხვი მატულობდა. 1892 წ. ნოემბრის შუა რიცხვებში სკოლის სარევიზიოდ მობრძანდა აქ მამა ლეონიდი. რევიზიის შემდეგ მამა ლეონიდმა მასწავლებელს მადლობა გადუხადა, ერთგულის სწავლებისათვის და მოისურვა, რომ ეს სკოლა უფრო უკეთეს საფუძველზე დეეყენებინა; ამისთვის მამა ლეონიდმა მოიწვია მამასახლისი და დაავალა ხალხის შეკრება, როგორც მოხისელებისა, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლელებისაცა.

როცა ხალხმა მოიყარა თავი, მამა ლეონიდმა საეროდ წარმოსთქვა სიტყვა და განუმარტა გლეხ-კაცობას, რა არის სკოლა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ხალხმა დიდის სიამოვნებით მიიღო მამა ლეონიდის დარიგება და ერთ ხმად მოისურვა მამა ლეონიდის სიტყვის შესრულება. შეუდგნენ განაჩენის დადგენასაც. განაჩენის დადგენაზედ დაესწრნენ: მოხისის მღვდელი შიო მთიულიშვილი, სოფ. ვაყის მღვდელი, გრიგოლ სალარიძე; წრომის მღვდელი, ნიკოლოზ დავიდოვი, აზნაურნი კვალიაშვილები და ხალხი. განაჩენი დაადგინეს ასეთი: 1) საზოგადოებამ აავოს სასკოლოდ ქვითკირის შენობა, როგორსაც პლანი მოითხოვს, 2) მასწავლებლის ჯამაგირად კომლზე წელიწადში თითო მანეთი იხადონ. 3) სკოლა უზრუნველ იქმნას შეშით და მოსამსახურით, 4) სკოლის მზრუნველად ამორჩეულ იქმნას ილია კვალიაშვილი. ამ განაჩენზე 130 კაცზე მეტმა ხელის ჩამორთმევით, ხელი მოაწერეს. განაჩენის დადგენამდე, მასწავლებელი თვეში თითო შეგირდზე თითო მანეთს იღებდა, როგორც კერძო სასწავლებლის მქონე, შემდეგ-კი ამ ფულის აკრეფა მოისპო.

გამოგვეთხოვა მამა ლეონიდი და მეორე დღესვე მამასახლისის თანადასწრებით მოხდა ყრილობა. ყრილობამ ერთ ხმად გადასწვიტა: ვთხოვოთ სასულიერო მთავრობას, კანცელარიის შენობა სკოლას დაუთმოთო, ხოლო ჩვენთვის ახალი კანცელარია ავაშენოთო. დაადგინეს განაჩენი და წარადგინეს კიდევაც. სასულიერო მთავრობას მიეწონა კანცელარიის შენობა სასკოლოდ, და კიდევაც დამტკიცდა. ეს მეორე წელიწადია, სოფელი მასწავლებელს ჯამაგირს არ აძლევს. ხალხში მოხდა უთანხმოება, ზოგი იძახის: „მე არც შვილი მყავს სკოლაში და არც შეძლება მაქვს, იმოდენს რათ გადავიხდი, რამდენსაც შეძლებული ჰხდილობსო“. მართლაც, რომ ეს ძნელი საქმეა! აქაო და განაჩენში სწერია: კომლზე თითო მანეთი უნდა იხადონო, აღარ გააჩნიათ არც შეძლებული, და არც ღატაკი. განა არ შეიძლება, რომ გადასახდელი ფული შეძლების კვალობაზედ გაიწეროს? ლიტრა-ჩარექობაზედ? მასწავლებელი მოთმინებიდგან გამოვიდა, ადგა და მაზრის უფროსთან იჩივლა: სოფელი სასწავლებლის ფულს არ იძლევაო. მაზრის უფროსმა მამასახლისს ბრძანება მისწერა, ფული საჩქაროდ აუკრიფეთო, მაგრამ სოფელი დიდ უარზეა. გამოჩნდნენ იმისთანებიც, რომ სოფლის ხალხი შეაგულიანეს, სკოლა არ გვინდაო და თხოვნა კიდევაც მიართვეს გუბერნატორს, სკოლა გაგვიუქმეთო. ვნახოთ, როგორ წავა ამ სკოლის ბედი და იღბალი.

მ. გ. მ—ძე

## ნარკვევი

მოგვყავს ბ. ხახანაშვილის წერილი ქართული ლიტერატურის მოძრაობის შესახებ სწორედ ისე, როგორც გადაღებულია ფრანგულს ჟურნალ „Revue des Revues“-ს თებერვლის ნომერში.

„იმის შემდეგ რაც რუსეთმა დაიპყრო (?) საქართველო, ქართული ლიტერატურა ხელახლავ აღორძინდა; ხალხი ნელ-ნელა გამთელდა იმ სასტიკის ჭრილობიდან, რომელიც მიიღო მას მრავალთა შემოსეულ მტერთაგან.

მშვიდობასთან და კარგათ ყოფნასთან ერთად იწყო ლიტერატურის აღყვავებაც. როგორც წინად, ისე ახლაც საქართველოს თავადის შვილები აღმობრწყინდნენ ქართულ მწერლობის ასპარეზზე. თავადი ა. ჭავჭავაძე (1767 — 1846) წინამორბედი იყო იმ დიდ გუნდ ლირიკოს-პოეტთა, რომელთა რიცხვი დღეს მრავალია. ჭავჭავაძის მუზა განათებული იყო ევროპის შუქით, რადგან თავადი განათლებულად ჩაითვლებოდა და საფუძვლიანად იცნობდა ევროპას და მის ლიტერატურას.

---

ველად და გამოჰქნა თვის შესაჯდომ ცხენად.

ახალ ისტორიკოსების შეცდომილებაც იქიდგან ჰხდება, რომ ჩვენი სამესხეთო საქართველოს ძველებური სახელ წოდება სხვა-და-სხვა ადგილებისა არ იციან კარგად, აბა რა მოაგონებდა ბ-ნ ფრანც შვარცს, რომ ახალციხეს ალექსანდრე მაკედონელის დროს მარდა ჰრქმევია და მის მიდამო მთელი სოფლების ერობას მარდელები: როცა თურქისტანში ჰხედავს მარდასა, პარსეთში კიდევ მარდასა და კასპიის ზღვის პირას ისევ ხსენებულს მარდასა. ასრე არის, ჩვენსკენ კავკასიის მთები და თურქნისტნისაკენაც იგივე კავკასის მთები. ასრე ხშირს გადასვლ-გადმოსვლით ერთის მხრიდგან მეორე მხარეს, ერთის ქვეყნიდგან მეორე ქვეყანას, გარდაუტანიათ გეოგრაფიული სახელ-წოდება, ისინი გამქრალან, გარდახვეწილან დროთა ვითარების გამო და ის სახელ-წოდება-კი მტკიცედ დაშთენილა მკვიდრთ მცხოვრებლებში!

როგორც კაპადუკიის მხრის ალის მდინარეს მიღებული წოდება ალის სოფლიდგან გარდმოტანილია ახალციხისკენ, გვაქვს ფოცხევის ალის სოფელი, იმერეთის ალი და სურამის მახლობელი ს. ალი. ქურდისტნის ვ ნისგან წარმომდგარი ახალციხის ვანის მთა და ვანის სოფელი, ვარძიასთან ვანის ქვაბები ასრევე იმერეთს ვანის სოფლები არიან. ამასთან ერთად ისტორიკოსს თუ მხედველობაში არ ექმნება კვინტკურცის აღწერილი ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, წაგრძელებული ხეობა კასპის ზღვამდის, ხშირი წყლები, დიდვრიანი ტყეები, ხილნარვენახოვანი მხარე, მთისა და კლდე-გორების ქვაბები, ხევ-ღელეების ლაღალუდა, კალიბების, ლაზების, მესხების, ტიპარენების, კადუსელების და მისთანა გვაროვნული წოდება, მალე შესცდება!

ვინმე მესხი

## კვირა დღეს

(სურათი)

მშვენიერი დილა გათენდა. კავკასიონის მთიდგან მზე ნაზად ამოცურდა და მოკაშკაშებულს ლურჯს ცაზედ მედიდურად იწყო დასავლეთისაკენ მსვლელობა. ზამთრის სისუსხე-უამინდობისაგან გულ-შეხუთულთ და შინ-შეკეტილთ მზის დანახვამ პირზედ ღიმილი მოჰგვარა და ზამთრისაგან გაშოთილს სხეულს, გულს რაღაც იმედის სიო მოჰფინა. დღეს, ამ შუაგულ ზამთარშიაც-კი, გვაგრძნობინა მზემ, თუ რა ძლიერი, სულის ჩამდგმელი სხივი ჰქონია; ან განა ეჭვიდა უნდა, რომ მზეს, ამ ცის ცხოველმყოფელს მნათობს, მართლა დიადი ძალა აქვს? დღევანდელი დღე ამისი უტყუარი ნიშანია...

ჯერ ისევ დილაა... ირგვლივ ყველა მოსახლეობის წევრი დიდით პატარამდე მოძრაობაშია... ბავშვები ეზო-აივნებზედ მოფენილან და თავისებურად, ბავშურად შეჰხარიან, შესტრფიან, მშვენიერს დღეს და ცხოველის მზის სხივებს! სრული ორი თვეა, რაც გარედ არ გამოუხედნიათ და დღეს ძლივს ნება დაერთოთ თავისუფალ ჰაერზედ გამოსვლა... უფროსებიც ბავშვებს არ ჩამორჩნენ...

სახლის კარებ-ფანჯრები გაფართოებულია და დიდს მორთვა-მოკაზმაში არიან! მერე ასე გაფაციცებით საით ემზადებიან? არსაით; თითონაც არ იციან. ყველა ზამთრისაგან შეკეტილ, სულის შემხუთველ შინ ჯდომით მობეზრებულნი იმის ცდაში არიან, რომ დღევანდელი დღით ისარგებლონ, თავისუფლად ამოისუნთქონ, გაიარონ, ჰორი თუ მართალი ნაცნობთ გაუზიარონ და ამით თავიანთი ერთფეროვანი ცხოვრება ოდნავ მაინც გააფერადონ.

მზე კარგა ზევით წამოვიდა და საგრძნობლადაც ჩამოთბა. ხალხი ეზოსახლებს გამოსცდა და ბაზარ-ქუჩა, სასეირო ბაღში გამოიფინა. ყოველთვის ხომ ასეა, რომ საითაც ხალხის მომეტებული ნაწილი მიილტვის, იქით უნდა ჩვენც გაუხვიოთ...

მაშ გავყვეთ ფეხ-და-ფეხ ამ დროებით აფორიაქებულს ხალხს... აგერ სასეირნო-სალაყბო ბაღიც... რა მშვენიერი სანახავია... ვინ გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ აყოს ერი, თუ ბერი, კაცი თუ ქალი, დიდი და პატარა, ძლიერი და უძლური, ჩინოსანი და უბრალო მომაკვდავი ყველა აქ მოგროვილა და ერთი სიცილი, ხუმრობა და ბაასი აქვთ... ჩვენც შევერივნეთ ხალხში, შეიძლება რაიმე საგულისხმიერო გავიგონოთ, მაგრამ ძლიერ ნდობასაც ნუ დავხარჯავთ, რადგან სიმართლის მოყვარეობა ცოტა არ არის მწყრალად არის ჩვენში... ისევ სჯობს ამ უდარდელ, უზრუნველ ხალხის დღევანდელი სიამოვნება არ მოვშხამოთ. რა გვესაქმება, მხოლოდ-კი ნატვრას ვერ დაგვიშლიან და ამიტომ... სუ... ეს მშვენიერი წკრიალი ხმა საიდგან მოისმის! სასეირნო ბაღის მახლობლად ორ სართულიან სახლის აივანზედ მეფანტურეს ორის თვით შესვენებუ-

ამ დროიდან ევროპის გავლენაც სულ უფრო და უფრო საგრძნობელი შეიქნა საქართველოსთვის.

უმთავრესნი ევროპის ეხლანდელის დროის ლიტერატურის ნაწარმოებნი ცნობილია საქართველოში. ამ ჟამად საქართველოს ჰყავს მწერალნი იდეალისტნი და რეალისტნი, ბაირონისტნი და მიუსეს მბაძველნი; მათ ჰყავთ აგრეთვე იმ მიმართულების მიმდევარნი, რომელნიც ასე გავრცელებულნი არიან რუსეთში „სახალხო“ მწერალნი. პესსიმისტ პოეტთა შორის, უმთავრესი ადგილი უჭირავს თავადს ნიკოლოზ ბარათაშვილს 1816—1846. პოეტი ეხვეწება თავის მერანს, რომ გადაატაროს შორს სამშობლოს იქეთ. მას არ ჰსურს იხილოს კვლავ, არც სატრფო, არც ნათესავი. მას არ ჰსურს დაიმარხოს სამშობლო მიწაში, რადგანაც ირჩევს რომ ყორანმა ამოსჭამოს თვალი და ქარმა განფანტოს იმისი ნაშთი.

გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი.

შემდეგ ჟურნალი ამბობს: «საქართველოს უძლიერესს მწერალს მოჩხუბარიძეზე. (ყაზბეგზე), რომელიც ერთსა და იმავე დროს არის პოეტი ლირიკოსი, რომანისტი და დრამატურგიც. ამ სამ გვარს მწერლობაში მოჩხუბარიძე თანასწორად ძლიერია. ყაზბეგი დაფასებულ იქნა, არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ რუსეთშიც.

მაგრამ, თითქო რაღაცა გადუვალი ხვედრისა იყვნენ ქართველნი მწერალნი. ა. ყაზბეგის ყველა ნაწერები მელანხოლიურია და სამწუხარო, როგორც თვით სიკვდილი. მწერალს ალაპარაკებს ამ გვარად თავის სამშობლოს დიდებული წარსული. ყაზბეგის რომანები დიდი საუნჯეა მთიელთა ცხოვრების, ზნე-ჩვეულების გასაცნობად. გარდა იმისა, რომ ეს ნაწერები ჩინებულია და ხელოვნური, ამ დროსვე იმათ აქვთ ეტნოგრაფიული ღირსებაც“.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ყაზბეგის რომანების შინაარსს და, როდესაც ქართველ ქალზედ იწყებს საუბარს ამ სიტყვებით გამოხატავს ქართველის ქალის მნიშვნელობას და ხასიათს: ქართველმა ქალმა მხოლოდ ერთხელ იცის სიყვარული და როდესაც შეიყვარებს, ეს სიყვარული საუკუნოა. ყაზბეგის რომანებში ქართველი ქალი ყოველგან უფრო ღირსეულია, ვიდრე განათლებული ქალი. ქართველები დიდ პატივსა სცემენ ქალს და უყვართ იგი. ქალი იყო საქართველოში ქრისტიანობის დამრგველი—წმინდა ნინო. თამარი იყო—მეფე საქართველოსა, რომელმანც აღორძინა და განადიდა სამშობლო და განუთქვა სახელი შორს და, უკანასკნელად ქართველ დედათა, აღზარდეს მრავალნი შთამომავლობანი, რომელნიც მხნედ და თავ-განწირულად ებრძოდენ მტერს.

საქართველოს ქალნი რამდენად ზნეობით დიდის ღირსებისანი არიან, იმდენად მშვენიერნიც არიან. ქართველის აზრით, ქალი უნდა იყოს: მაღალის ტანისა, როგორც აღმოსავლეთის ჰანდარი, თეთრ ყირმიზი ლოყებით, გიშრის თმიანი, შავ და ბრწყინვალე თვალებიანი, რომლიდანაც ნაპერწკალი უნდა მოცვივოდეს. ასეთი უნდა ჰქონდეს ქალს გარეგნობა, ხოლო ზნეობით იგი უნდა იყოს კრძალული და ერთგული, რაც უნდა განსაცდელში ჩავარდეს. ადულტერი (მეძაობა) არ ესმის ქართველს ქალს რა არის და საშიშია რაიმე განსხვავება მოახდინოს კაცმა შორის მამაკაცისა და დედაკაცის უფლებისა. სახალხო ლექსი ამბობს.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“.

ყაზბეგის ღირსება, ამას გარდა ის არის, რომ წინანდელი ცუდი აზრი თვის ქვეყნის შვილებზე იმან სრულიად გააქარწყლა, და ახლა ჩვენ, ქართველებს ისეთსა ვხედავთ როგორიც ნამდვილად არიან. გამოჩენილმა რუსეთის მწერლებმა პუშკინმა და ლერმონტოვმა ვერ დააფასეს სამართლიანად ეს საბრალო ხალხი.

მაგრამ, დრო შეიცვალა და ახლა თვით რუსნიც აფასებენ ამ საყურადღებო და რაინდულ პატარა ქართველ ერს.“

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ეხლა თითქმის ყოველი სახელმწიფო ახალის ყაიდის ორთქლ-მავალ გემების მზადებაშია. სიკეთე ამ ახალის გემებისა ის არის, რომ წყალის ქვეშ შეიძლება სვლა და, მაშასადამე, მტერს ზღვაში ადვილად დაემალება გემი. ამას გარდა, ამ გემებით მტრის ხომალდების აფეთქება მეტად ადვილად არის შესაძლებელი.

—

ამას წინად მილანის ერთი განთქმულ ექიმთაგანი მიიწვიეს თურმე ავადმყოფ ახალგაზრდა და მშვენიერ ბარონ დელფუოკოს ასულთან, რომელიც დიდი სიყვარული მომღერალი ქალის მილანის საზოგადოებისა. ეს მშვენიერი ყმაწვილი ქალი ლოგინში იწვა თურმე და სახე შავგვით ჰქონდა დაჭრილი. იქავე საკარმელში იჯდა მშვენიერივე მოსამსახურე-ქალი ბარონის ასულისა, ისიც დაჭრილი მარცხენა მხარში იარაღით. როგორც აღმოჩნდა, ამ ორს ქალს ერთმანეთთან უბრძოლიათ. მიზეზი ბრძოლისა ყოფილა ერთი ავსტრიელი სოლდატი, რომლის გატაცებასაც სცდილობდა თურმე ბარონის ასულის მოსამსახურე-გოგო. ქ-ნს დელფუოკოს დიდათ სწყენია ეს და ბრძოლაში გამოუთხოვნია თავისი მეტოქე. ექიმსა და პოლიციას დიდად ეოცათ ბრძოლის ამბავი ქალბატონსა და მოახლეს შორის, მაგრამ როდესაც ჩვენება ჩამოართვეს დაჭრილთ, აღმოჩნდა, რომ მოახლე ბარონის ასულისა ერთის ტურინელ კეთილშობილ ოჯახის შვილი იყო, მშობლებისაგან გამოქცეული. იმ სოლდატმა, რომლის გამოც დასჭრეს ამ ორმა ქალმა ერთმანეთი, განაცხადა თურმე, რომ არც ერთის ცნობა მინდა, არც მეორესი ორივენი მეწყერისამც წაუღიათო.

—

რა გგონიათ, მკითხველო, რომელი ერი რამდენს დღეს ჰმუშაობს წელიწადში? აი ცნობები ამის შესახებ: რუსი ჰმუშაობს წელიწადში 267 დღეს, ინგლისელი—270, ესპანიელი—290, ავსტრიელი—295, იტალიელი—298, ბავარიელი და ბელგიელი—300, საქსონიელი და ფრანგი—302, შვეიცარიელი, დანიელი, ნორვეგელი—303, პრუსიელი—305, ჰოლანდიელი და ამერიკელი—308, და უნგრელი—312 დღეს.

—

აქამდე ჰგონებდნენ, რომ შესანიშნავი რომანების მწერალი ფრანგებისა ემილ-ზოლა პროვანსალიელია, სამხრეთ საფრანგეთში დაბადებული. ამას წინად ზოლამ განაცხადა, რომ პარიზში ვარ დაბადებული, Joseph 10 biz-ის ქუჩაზედაო. ჩემი აკვანი სწორედ სტამბის ზემოდგან მეოთხე ოთახში ირწეოდა, როდესაც ქვეყნად დავიბადე, ჩემს ყურთან სტამბის მანქანას გაჰქონდა რახა-რუხი და პირველ დღიდგანვე სტამბის სანუქვ-დავ წამალის სუნი შევისუნთქეო. ემილ-ზოლას მამა ვენეციაში დაბადებული ყოფილა, დედა-კი—ფრანგი.

## მხიარული ღარიბი

—

ერთს სახლში ორი დგმური სცხოვრებდა. ზემო სართულში მდიდარი კაცი იდგა და ქვემო სართულში ღარიბი ხელოსანი. ეს ხელოსანი ხშირად სიმღერას მორთავდა და ძილს უფრთხობდა, მდიდარსა. ერთს დღეს მდიდარმა დაუძახა თავის მეზობელს და უთხრა.

— წაიღე, ძმაო, აჰა, ეს ერთი ტომარი ოქრო, ოღონდ-კი სიმღერას თავი დაანებე და მომასვენეო.

ხელოსანმა მადლობა შესწირა. ჩამოიტანა სავსე ტომარი ოქრო და დაუწყო დარაჯი, რომ არავის მოეპარა. რაც ხანი გადიოდა ეს უწინდელი მხიარული მოღიღინე ხელოსანი კაცი სულ უფრო და უფრო ფიქრში და შიშში ჩავარდა, რომ ფული ვისმეს არ მოეპარა; სიმღერა ხომ სულ დაავიწყდა, შეიპყრო საშინელმა ხაფრამ. ბოლოს იფიქრა ხელოსანმა: სიცოცხლე გავიმწარე ამ ნაწყალობევი ფულითო, ადგა და ოქრო ისევ ძველს პატრონს აუტანა და ასე მოახსენა: აჰა ბატონო, ეს თქვენი ოქრო ისევ თქვენ ინებეთო და მე ჩემი სიმღერა და მხიარულება დამიბრუნეთო. ჩამოვიდა და ადრინდებულად მოჰყვა სიმღერას.

## გასართობი

—

1818 წ. ტომას სპენსერმა ასეთი განცხადება დაიბეჭდვინა გაზეთებში: „ვთხოვ ყველას, ვინც-კი წაიკითხავს ამ სტრიქონებს, არც ერთი გროში აღარ მანდოს სესხად, რადგანაც გადავსწყვიტე, რომ არც ერთს მოვალეს ვალი არ გადაუხადო“.

**

ერთის წიგნის შესახებ ამბობდნენ, რომ იმაში ბევრი ახალი რამ არის თქმული და დიდად საინტერესოაო.

— სამწუხაროდ მხოლოდ ის არისო, შენიშნა ლესინგმა, რომ რაც წიგნში მართალი და ჭეშმარიტია, ის ახალი არ არის, ხოლო რაც ახალია, ის სიმართლესა და ჭეშმარიტებას მოკლებულიაო.

**

ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა თავის დროზედ ვერ შეამზადა გაზეთის ნომერი და ასე იმართლა თავი საზოგადოების წინაშე: «საქვეყნოდ აღვიარებ, რომ ჩემი დაუდევარი ცოლი რამდენიმე ვერსის სიშორეზედ წავიდა სალოცავად და მე შინ დამტოვა აკვნის სარწევად და ბავშვების ყურის საგდებლად. ჩხუბის და აურზაურის ასაცდენად ჩემს მძიმე ტვირთს მოთმინებით ვიტან და მტკიცედ ვასრულებ ყოველ ბრძანებას ჩემის მეუღლისას. დიდად პატივცემული საზოგადოება, რასაკვირველია, შემიბრალებს და მაპატიებს გაზეთის დაგვიანებას, რის მიზეზიც მხოლოდ ჩემი კსანტიპაა *)“.

## გამოსადეგი ცნობა

—

კალმების შენახვა. აი ძალიან ადვილი საშუალება, რომ კალამი არ წახდეს: მაღალ მინის ჭიქაში ჩასდეთ პატარა ნაჭერი კალა-ქვისა (პოტაშისა), ზემოდგან დადეთ სველი ღრუბელი, ყოველ წერის შემდეგ გასწმინდეთ ხოლმე კალამი და ჩასდეთ მინის ჭიქაში, აღარც ჟანგი მოეკიდება და დიდხანსაც იხმარება ასე შენახული კალამი. გარდა ამისა, მოგვყავს ერთს საშუალებასაც ჟურნალ „La science protique“-დგან: ახალი კალმება ჩააწყეთ ნ. ხვავარ საათით წყალში გახსნილ შაბიამანში, მერე ამოიღეთ, ოდნავ შეამშრალეთ და დააწყეთ გასაშრობად. ამ კალმებს ჟანგი აღარ მოეკიდება. აი კიდევ უფრო ადვილი საშუალება: კალამი, ხმარების შემდეგ ჩაურჭეთ რბილს კარტოფილში და ასე იყოს, ვიდრე დაგჭირდებოდეთ. კალამი დიდხანს არ წახდება.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

როგორც მოგეხსენებათ, ამ რამდენისამე წლის წინად ახალ-სენაკში დაარსდა „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავი და სამკითხველო“. ამ კეთილ საქმეში, თუ არა ვცდებით, ჩვენის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინეს წიგნებითა, თუ ფულებითა, ასე რომ ჩვენი წიგნთ-საცავის საქმე დღითი-დღე სასურველს ზრდასა და წარმატებაში შედიოდა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენმა სამკითხველომ მიიზიდა ხალხი და მკითხველთა რიცხვი თან-და-თან ემატებოდა, მაშინ დღევანდელმა გამგემ ბ. მიქაძემ მთლად დაუკეტა სამკითხველოს კარი, ეს ერთს თვეზე მეტია, რაც იგი დაკეტილია და მიზეზი-კი ჯერ-ჯერობით არავინ არაფერი არ იცის. სამწუხაროა, ღმერთმანი, ეს გარემოება, მით უმეტეს, რომ სამეგრელოში, როგორც სტატისტიკური ცნობებიდგან სჩანს, 260,000 მცხოვრები ირიცხება და მხოლოდ ერთად-ერთი სამკითხველო ღვთის მადლით,

*) კსანტიპას დიდად ანჩხლი და ბოროტი ცოლი იყო საბერძნეთის ფილოსოფოსის სოკრატისა. მას შემდეგ ყველა ბოროტ ქმრიანს დედაკაცს კსანტიპას ეძახიან.

---

ლი ფანდური მოუმართავს, მშვენიერს ამინდს იმისი დროებით გაყინული გულის სიმები გაულხვია და აგერ დღეს ალგზნებით ატირ-აცინებს ფანდურის სიმებს და თან დაჰკვნესდასტირის:

„ჰხედავ ამას, ამ ქართვლის ძეს,
საქართველოს მკერდით გაზრდილს?!
საამურად გაუბადრავს
ეს მშობლიურს ჰავა-ადგილს,
მაგრამ თავის მზრდელის ენით
არ ჰკადრულობს დღეს ეს მზობას...
საახალწლოდ ამას ვუძღვნი
სამუდამოდ კითხვა-გმობას! »

ამ სიმღერას მეორე მეზობელ სახლის აივნიდგან „ვაშას“ ძახილი მოჰყვა...

ამ მეორე სახლის აივანზედ ხუთიოდე ახალგაზდას გაეშალათ სუფრა ნაადრეულად სადილი შეეყოლებიათ, რა არის ზამთარში შიგ-ნარევმა მშვენიერმა ამინდმა არ გვიღალატოსო. სწორედ-ამიტომ, ჯერ შუბლი არ შეჰხურებოდათ, მაინც გაბმული „მრავალჟამიერი“ ძლიერ ხშირად მოისმოდა... მაგრამ რაკი მახლობლად ფანდურის სიმთა ჟღერა შემოესმათ და თან მშვენიერი სიმღერა, ყურადღება მომღერალს მიაპყრეს და „ვაშა“-თი იმის წათამამებასა ცდილობდნენ. მეფანდურემაც რაკი დაჰკრა სიმებს და პირველსავე სიმღერაზედ ყურადღება მიიქცია, უფრო წელში გაიმართა, ხმას უფრო ძალა მისცა და დაჰმღერა:

„ჩხიკვი ერთხელ „გაჩასფანდდა“,
თავი მოიგიჟიანა;
ეზოში ჩამოიქროლა,
კრუხი დააფეთიანა.
რა კრუხი? იმის გვარისა
ყველა მის ხმაზე ჰყიოდა
მამალიც განგაშსა სცემდა,
ბაიათს აღარ ჰყიოდა.
ან-კი რა ექმნათ, როდესაც
ქორი ეგონად მჭამელი?....
რამდენჯერ დაუწყევლიათ,
იმისი გამომგზავნელი“.

მეფანდურემ ისევ მეზობელ მოქეიფეთაგან მიიღო „ვაშა“ ბაღში მოსეირნეთ ყურადღება ვერ მიიზიდა. ან ვის ეცალა იმისთვის! მშვენიერება იმ დღისა განა მეფანდურეს გესლიანი კილო-ლექსებისათვის იყო მოვლენილი? სიყვარული, ხვევნა—ამბორი, ქეიფი კიდევ ჰო, თორემ ამ დალოცვილს რაღა დღევანდელს დღეს აუჟღერებია თავისი ფანდური და მერე მაშინ, როცა მთელის, ქალაქის დიდი და პატარა იმის თვალწინ ბუნებას შეჰხარის. მაინც ხომ აგრეა, რომ ეს მოლექსე, მეფანდურენი სწორედ მაშინ აიღებენ ხოლმე ფანდურს ხელში და ენა-მხამიანად მოჰყვებიან გალობას, როდესაც სხვა ხარობს, სიამოვნებს და უდარდელად შესცქერის ამ წუთიერს სოფელს, მწარეს სამყოფელად!...

მეფანდურე მაინც არ დასცხრა, თან და თან ეშხში შედის და აგერ გაისმა ისევ იმისი ორ-აზროვანი სიმღერა:

„მე დავინახე ბუზი გაბმული,
მას დედა-ზარდლი უწყალოდ სწოვდა,
და მომაგონდა მაშინ უფალი,
რომელიც საწყლებს ქრთამებსა სთხოვდა.

—

ნახატზედ ვნახე ყმაწვილი ქალი,
შიშველი, (რომ არ მენახა, სჯობდა)!..
და მომაგონდა მაშინ უფალი,
ვინც მომჩივრებსა ტყავსა აძრობდა...

ამ სიმღერამ-კი უწინდელებრ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა! ყველა ბაღში მოსეირნეთ ყურები წამოაცქვიტეს და ერთმანერთს გაოცებული შეჰყურებდნენ. ზოგიერთებს, გატაცებულ ბაასში გართობილთ, სიტყვა თითქო პირზედ შეეყინა, და უნებლიეთ იქით მიაპყრეს თვალი, საიდგანაც ფანდურ-სიმღერის ხმა მოისმოდა. ბაღში დაფანტულად ორორსამსამი მოსიარულენი თანდათან ჯგუფ-ჯგუფად მოგროვდნენ და ხმა მაღლა ყაყანი ასტეხეს. მეფანდურემ თითქო იხელთა დრო, მცირე ხანს ფანდური გვერდზედ გადასდო და აივანზედ იწყო დინჯად სიარული... რასაკვირველია, ამასთან ნიშანში ამოღებულ ბაღში მყოფთაც არ ივიწყებდა და ხან და ხან ცალის თვალით გადაჰხედავდა ხოლმე...

შუადღის ზარმა თავდავიწყებულ მოსეირნეთ ამცნო, რომ ახლა-კი დროა სახლებისკენ გაისეირნოთო, კუჭმა თავი გაახსენა ხალხს და ნელად იწყეს წასვლა-წამოსვლა. ბაღში უფრო ახალგაზდა, ცნობის მოყვარე ხალხი დარჩა... მეფანდურემ შენიშნა, რომ აჩქარებაა საჭიროო, და ფიცხლავ გაჰკრა ხელი სიმებს:

„თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებური ქცევა,
მაგრამ მაღლა ასაცვისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა“.

ბაღში დარჩენილთაც, თითქო კუჭის მოთხოვნილება იგრძნეს, ნელნელა ზლაზნით იწყეს სახლისაკენ წასვლა. მეფანდურეც დაჩუმდა, თუმცა მეზობელს სახლის აივანზე გაბმული ლხინი იყო და თავისი ხმაურობით ქართული სიმღერებით სცდილობდენ, მეფანტურე უფრო ეშხში შეეყვანათ... უცებ მეფანტურესავით თვით მოქეიფენიც დაჩუმდნენ... ბაღშიაც სულ ორიოდ კაცი-ღა ჩანდა. ამ დროს ბაღის შემოსავალში გამოჩნდა გაფარფარებული ჩინოსანი... ამაყად გამოიარა ბაღზედ, ზიზღით შეჰხედა აივანზედ მოქეიფეთ და თავმოწონებით გავიდა ბაღიდგან.

ი. კახელი

როგორც იყო დაარსდა ახალ-სენაკში. დღეს-კი სრულიად დაიკეტა ჩვენი ბიბლიოთეკა. იმ მიზეზით, რომ სენაკის საზოგადოება სთხოვდა მ—მეს ანგარიშსა სამკითხველოს საქმეებისას, თუმცა ის ბრავისგან ამორჩეული არა ყოფილა და თავის სახელობაზე-კი ჰგზავნიდა განცხადებებს გაზეთში და ჰკრეფდა შემოწირულებათა, როგორც წიგნებით, ისე ფულებით და ხელის მოწერითაც. ამ ხნის განმავლობაში მ—მეს საზოგადოებისთვის, როგორ ანგარიში არ მიუცია, არც გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადებია შემომწირველთათვის. ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ „ივერიის“ საშუალებით მივმართოთ ბ-ნს ბ. მიქაძეს, რომ ამ კეთილ საქმეს ნუ ჩაშლის. დანიშნოს კრება და წარმოუდგინოს აქაურ საზოგადოებას ამ ორის წლის შემოსავალ-გასავლის დავთრები, რათა ამით არ დაეკარგოს სამეგრელოს ერთად-ერთი საჯარო წიგნთ-საცავი თავისი სამკითხველოთი.

ფასტი

12 თებერვალი 1894 წ.

ახალ-სენაკი

---

## II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო იმათ ვინც დაბა ცხინვალის სამკითხველოს აღმოუჩინა დახმარება: პატივ-ცემულ იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც შესწირა თავისი ნაწერების გარდა სამი მანეთისა სხვა წიგნებიც ყველა სამკითხველოებს და რასაკვირველია დაბა ცხინვალის სამკითხველოსაც ხვდება წილი. «მწყემსის» რედაქტორს მამა ღამბაშიძეს, რომელიც, ეს მეორე წელიწადია უსასყიდლოდ უგზავნის თვის გაზეთს. „ივერიის“ «კავკაზის» რედაქტორებს, რომელნიც თითო ეგზემპლიარს უსასყიდლოდ უგზავნიან. არსენ ალანდაძეს, რომელმაც შემოსწირა შოთა რუსთაველის სურათი, ნატალია შალიხოვისამ 2 მან. როსებ მაჭავარიანმა 2 მან. და აღგვითქვეს ორ-ორი მანეთი იოსებ ბასიევმა და სიკო გასრაძემ. ყველა ზემო აღნიშნულს დამხმარებელთ უგულითადესს მადლობას მოახსენებენ დაბა ცხინვალის სამკითხველოს კამიტეტის წევრნი. სამკითხველოს მცველი

რევაზ ფავლენიშვილი

დაბა ცხინვალი

---

## III

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადოთ იმათ, რომელთაც დახმარება გაუწიეს ასკანის სახალხო წიგნთ-საცავს: სამუელ სიამაშვილმა ხუთი მ., აღუთქვა წლიურად ხუთი მან.,—ნესტორ ნინიძემ—ხუთი მან. აღუთქვა წლიურად ხუთი მან., მოსე ურუშაძემ—სამი მან., ლევანტი ჩხაიძემ—სამი მან., სილიბისტრო კაშალომაძემ—ორი მან., გრიგოლ თეინეიშვილმა—ორი მან., გრიგოლ ჯინჭარაძემ—ორი მან., ექვთიმე კასაძემ—ორი მან., დმიტრი ცეცხლაძემ—ორი მან., გიგო დოლიძემ—ორი მან., მოსე გორდელაძემ ერთი მან., ამბოკი კვატაძემ—ორი მან., ივანე ანდღულაძემ—ერთი მან., ილარიონ მახარაძემ—ერთი მანეთი, ელიშე ურუშაძემ—ერთი მან., ივლიანე კვაჭანტირაძემ—ერთი მან., ხარიტონ ურუშაძემ—ერთი მან., მიტროფანე კონტრიძემ—ერთი მან., გიორგი ბორჩხაძემ—ერთი მან., ვლადიმერ ჭელიძემ—ერთი მან., კონსტანტინე თეიშვილმა—ერთი მან., იაგორ ჭელიძემ—ერთი მან., კანდიტორ შავიშვილმა—ერთი მან., დომენტი შავიშვილმა—ერთი მან., კოწია დოლიძემ—ერთი მან., გიორგი ფიცხელაიშვილმა—ერთი მან., იოსებ ნიკოლაიშვილმა—ერთი მან. და ალმასხან ურუშაძემ თხზულება ხვაკისა ერთი ტომი კარგ უდაში.

ამას გარდა ამ საქმეს სხვა და-სხვა პირებმა ქ. ბათუმში მცხოვრებმა შემოსწირეს 162 მან.

ასკანის წიგნთ-საცავის დამაარსებელთაგანი სოლომონ მჭეიშვილი

ივლიანე შევარდნაძე

3 თიბერვალი

ქ. ოზურგეთი

# დეპეშა

12 თებერვალი

**ლონდონი.** დღეს ფიჩნლეის სასაფლაოზედ მიწას მიაბარეს ანარხისტის ბურდენის გვამი. სასაფლაოზედ მიმავალ გზაზედ სამგლოვიარო პროცესიას გარს ვანრისხებული ბრბო ხალხისა ერტყა, რომელთა შორის უმეტესობა მუშანი იყვნენ, და ჰყვიროდა: «შორს ჩვენგან ანარხიაო!“ ბრბო ხალხისამ არა ერთხელ გაარღვია ორ პირად შეკრული ჯაჭვი პოლიციელებისა; ქალები და კაცები უახლოვდებოდნენ კუბოს უკან ეტლით მიმავალთ და მუშტით მუქარას უთვლიდნენ. დასასრულ სძლიეს პოლიციას და ტალახით შესვარეს სამგლოვიარო ეტლი.

13 თებერვალი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ განიხილა საქმენი საზღვარ-გარედ გასატან სპირტის თანდათან შემცირებისა და პრემიათა მოსპობისა, იმის შესახებ, რომ შეიცვალოს საზღვარ-გარედ სპირტის გატანის წესები და შემოღებულ იქმნას საზღვარ-გარედ სპირტეულობის გატანის წამხალისებელნი ღონისძიებანი და გამოიცეს შესავსებელნი დადგენილებანი ნავთის შადრევანთა წეს-რიგში გასაყვანად.

**პარიზი.** სენატის სატამოჟნო კომისიამ მოიწონა პურზედ შემომღები ბაჟის პროექტი. განსჯა ამ პროექტისა სენატში ორშაბათს დაიწყება.

პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7½ | 7,53 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 150½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 243¾ |
| —მეორისა . . . . | | — „ | 228 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% . . . . . | 98¼ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 100⅜ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | 48¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროტასევიჩი, 11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

კ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ველოსიპედის მსურველთა საყურადღებოდ!

ვ ყ ი დ ი

**163 მანეთად** ინგლისურ ველოსიპედებს

პნევმატიურ შინებით „Dunlop“ 1893/94 წ.—გთხოვთ მოითხოვოთ კატალოგები.

ვ. გ. რიაბოვი.

Н. Новгородъ Сустинская.

(5—5)

---

**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.

---

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—163)

---

„ნევის პარიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“

ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“

საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სა პ. ჭ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—30)

---



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენედიქტინი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირველესად საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE

Marques déposées en France et à l'Étranger

A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ, ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდე დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ჩ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

---

სასაპარელო ესსენცია კოლბერსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოქმედებს მოძრაობაში.

ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

---

**გ. ა. რუზანოვი და ამხ.**

პეტერბურგი, რაზიეზჟის ქუჩა, სახლი № 18

ახალი ამხანაგობა. პრივილეგია დამტკიცებულია № 15.627.

შედედებული სუნნელოვანი წვენი არაყისა და ლიკიორებისა,

შემზადებული მხოლოდ სხვა-და-სხვა ხილისაგან, მცენარისაგან და ძირეულობისაგან,

განსხვავებულია თავისი სასიამოვნო სუნით და გემოთი. ამ სხვა-და-სხვა წვენის შემწეობით

ყველას შეუძლიან მოამზადოს მალიან გემრიელი ლიკიორი,

რომელიც არაფრით არ დაუვარდება სამზღვარ გარეთის უმჯობესს ლიკიორებს

და ყველანაირი სიმრთელისათვის მარგებელი მწარე არაყები.

გ. რუზანოვის და ამხანაგობის შემზადებული წვენი არაფრით ემგზავსება სხვა ესენციებითა და საღებავით გაკეთებულს წვენს, რაშიაც ყველას შეუძლიან დარწმუნდეს.

პრეისკურანტი გაეგზავნებათ პირველს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ.

ფასი ერთი შუშისა ¼ ან ½ ბუთილკისათვის 15 კ.—80 კ.

არაყის ქარხნებისათვის ეს წვენი უფრო დიდრონ ჭურჭლებში შემზადებული.

(5—3)





სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე